საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030199323619920

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/10494 **02 / სექტემბერი / 2020 წ.**

საჯარო სამსახურების დაძმობილების (ტვინინგის) პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/ შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“ (ტვინინგის ნომერი: GE 17 ENI OT 02 19) წევრებს:

ადგილობრივ მრჩეველს ქვეყანათა კონსორციუმის მხრიდან - ვალერია კუბალოვას,

პროექტის უმცროს ლიდერს - ხოსე იგნასიო მარტინ ფერნანდესს,

კომპონენტის ლიდერს - კონსუელო მანხონ გარსიას

ელ.ფოსტა: valeria.kubalova@gmail.com; JoseIgnacio.Martin@mites.gob.es; cmanchong@gmail.com

ძვირფასო კოლეგებო,

მოგეხსენებათ, რომ პანდემიასთან ბრძოლის პირობებში საქართველოს მიერ გატარებულმა პრევენციულმა ღონისძიებებმა გამოიღო წარმატებული შედეგები და ანტიკრიზისული გეგმა აღიარებულ იქნა საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამასთანავე გაცხობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, როგორც შრომის უსაფრთხოებასა და სამუშაო ადგილებზე COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციული ზომების აღსრულებაზე მოხიტორინგისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი მთავარი ორგანო წარმატებით აგრძელებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანა ეტაპობრივად ახორციელებს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციას, რომლის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს შრომითი უფლებებისა და სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. მათ შორის ძალზედ მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურების დაძმობილების (ტვინინგის) პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“ (ტვინინგის ნომერი: GE 17 ENI OT 02 19) წარმატებით განხორციელება ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის მიზანსაც სწორედ, შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, 2019-2022 წლისთვის მისაღები, 29 ევროდირექტივის მომზადება/დამუშავება წარმოადგენს. აღნიშნული პროექტი ასევე მოიცავს შრომის ინსპექტორთა პროფესიულ გადამზადებასა და ქვეყნის ძასშტაბით შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2019 წლიდან ზემოხსენებული პროექტის მთავარ ბენეფიციარს, სწორედაც რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი წარმოადგეს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სამინისტროს მხრიდან პროექტის წარმატებით იმპლემენტაციაზე მზაობას.

აღნიშნული პროექტის განხორციელებას ბენეფიციართან ერთად ქვეყანათა კონსორციუმი უზრუნველყოფს, რომელიც წარმოდგენილია სლოვაკეთის, ესპანეთისა და ესტონეთის სახით (პროექტის პარტნიორები არიან სლოვაკეთის შრომის, სოციალური საკითხებისა და ოჯახის სამინისტროს რეგიონალური განვითარების სააგენტო; ესპანეთის შრომის, მიგრაციისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო (MITRAMISS); ესპანეთის სახელწიფო სააგენტოს შრომისა და უსაფრთხოების ინსპექცია და ესტონეთის რესპუბლიკის სოციალურ საკითხთა სამინისტრო). ასევე უნდა ითქვას, რომ პროექტში ჩართული პირების (ტვინინგის ადგილობრივი მრჩეველი, პროექტის ლიდერები, კომპონენტის ლიდერები და ყველა ჩართული მოკლევადიანი ექსპერტი) როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით შეძლოს დასახული ანტიკრიზისული და პრევენციული ღონისძიებების შესასრულება.

პროექტის სამუშაო გეგმის შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით და გიგზავნით მოწვევის წერილს სექტემბრის დასაწყისში საქართველოში ჩამოსასვლელად, რათა სექტემბრიდან უზრუნველყოფილ იქნას გათვალისწინებული ტრენინგების, ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივების ეტაპობრივი იმპლემენტაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო ინფორმირებულია, შემდეგზე, რომ პროექტი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ნევრთათვის განსაზღვრულ PCR ტესტირების განხორციელებასა და სტუმართა დახვედრისათვის საჭირო დამატებითი უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

მადლობას მოგახსენებთ წინასწარ და მოუთმენლად ველით საქართველოში თქვენს მორიგ ვიზიტს.

გთხოვთ, იხილეთ თანდართული წერილი ინგლისურ ენაზე (1 გვერდი).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამილა ბარკალაია